მარიამ თორმანოვი

ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტი, უნგრეთი

,,კავკასიის უნივერსიტეტის ბილატერალურმა პროგრამამ მომცა შესაძლებლობა ერთი სემესტრი გამეტარებინა ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტში, რაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდად იქცა.

პროგრამის განმავლობაში გავეცანი და შევისწავლე ახალი საგანმანათლებლო მიდგომები. უნივერსიტეტის გარემო ყოველთვის ინტერაქტიული იყო, ლექციები დისკუსიებზე, გუნდურ სამუშაოებზე და რეალურ მაგალითებზე იყო აგებული, ვმუშაობდი მრავალკულტურულ გუნდებში, სადაც თითოეული წევრი საკუთარ გამოცდილებასა და ხედვას გვიზიარებდა.

სასწავლო მასალა უშუალოდ ეხებოდა თანამედროვე ბიზნესსა და ეკონომიკას, რაც სასწავლო პროცესს უფრო აქტუალურს და პრაქტიკაში გამოსაყენებელს ხდიდა. ამ პროცესებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩემი კომუნიკაციის, ანალიტიკური აზროვნებისა და ლიდერობის უნარები.

სასწავლო პროცესის პარალელურად, სამშობლოდან შორს, დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილებამ მასწავლა კომფორტის ზონის დატოვება და ახალ გამოწვევებთან შეგუება, ასევე ვისწავლე როგორ ვიყო უფრო ორგანიზებული.

უცხო კულტურაში ყოველდღიურმა ცხოვრებამ მიმახვედრა, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებული ხედვების მიღება. ეს სემესტრი ჩემს გარდასახვად იქცა, განვვითარდი როგორც აკადემიურად, ისე პიროვნული თავლსაზრისით.

პროგრამამ შესაძლებლობა მომცა, მემოგზაურა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, გამეცნო მათი კულტურა და ისტორია, დამენახა. ეს მოგზაურობა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თავგადასავლად დარჩება. აკადემიურ წინსვლასთან ერთად, ამ პერიოდმა ყველაზე ძვირფასი- ახალი მეგობრები და დაუვიწყარი მოგონებები შემძინა.''